დასავლეთი და ერაყის ეთნოკონფესიური ჯგუფები

მარიამ ჯიქია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი სანიკიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2014

აბსტრაქტი

დაპირისპირებითა და პოლიტიკური არასტაბილურობით ცნობილი ახლო აღმოსავლეთის, ერთ-ერთ, ახალ სახელმწიფოს ერაყის რესპუბლიკა წარმოადგენს. ქვეყნის უახლესი ისტორია ცნობილია მუდმივი ეთნოკონფესიური დაპირისპირებითა და დასავლური ოკუპაციით.

ჩემი სამაგისტრო ნაშრომის მთავარი მიზანია, დავადგინო როგორ იცვლებოდა ერაყელი ხალხის მდგომარეობა, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების, ხელისუფლების ცვლილებებისა და გარე ძალების მუდმივი ჩარევის პირობებში. ერაყის ეთნოკონფესიური ჯგუფების დაპირისპირებები ძალზე აქტუალური საკითხი გახლავთ, რადგან ეს არის დროში გაწელილი პროცესი, რომელიც დღემდე მნიშვნელოვან საკითხად არის მიჩნეული თავად ერაყის სახელმწიფოში.

ნაშრომში ასახულია, თუ რა გზა გამოიარეს ერაყელებმა (ქურთებმა, შიიტებმა და სუნიტებმა), რა სახის დაპირისპირებები მიმდინარეობდა ჯგუფებს შორის და რაც მთავარია, როგორ ზეგავლენას ახდენდა მათთზე გარე ძალების ჩარევა.

წარმოდგენილ თემაში, კვლევის თვისობრივი მეთოდით შევეცადე გამერკვია რა სახით ცდილობდა დასავლეთი ერაყში მიმდინარე კონფლიქტის დარეგულირებას. კვლევის შედეგად დგინდება, რომ დასავლეთის მხრიდან ქვეყნის მართვაში ჩარევამ, არამც თუ დადებითი შედეგი მოუტანა, უფრო მეტად გაართულა დაპირისპირებული მხარეების მგომარეობა, მათ უფრო გააღვივეს ეს პროცესი და ისედაც კრიზისით მოცულ ქვეყანაში, ჯარების გაყვანის შემდეგ, კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა დატოვეს.